სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ხელშეკრულება №13

ქ.ქუთაისი შედგენის თარიღი: 17 იანვარი 2024 წელი

ერთი მხრივ **სსიპ კოლეჯი „იბერია“** (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი დირექტორის ირაკლი ავალიანის სახით და მეორე მხრივ **შპს „ორგსერვისი“** (შემდგომში მიმწოდებელი) წარმოდგენილი ხვიჩა ნემსაძის სახით, გამარტივებული შესყიდვების საშუალებით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3-ე პუნქტის და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვების ჩატერები წესისი დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების საფუძველზე, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ა(ა)იპ-პროფესიული უნარების სააგენტო და შესაბამისი პროგრამის „კვლევის სტუდენტური სერვისებისა და ინკლუზიური განვითარების ხელშეწყობის“ქვეპროგრამის საჯარო სკოლებში პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობის კომპონენტის ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნიებიდან (პროგრამული კოდი 32 03 02) სასერთიფიკატო კურსის გიდის სპეციალობისათვის საჭირო მასალების (CPV:- 22816100-ბლოკნოტები;30192121-ბურთულიანი კალმები;30192125-მარკერები;30195920-მაგნიტური დაფები;30196200-სამუშაო შეხვედრების ჩასანიშნი წიგნაკები და სათადარიგო ფურცლები;30197621-ფლიფჩარტის ქაღალდები) შესყიდვა (შემდგომში საქონელი) ხელშეკრულების პირობებისა და დანართი N 1 -ის შესაბამისად, რაც თავის მხრივ წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების ღირებულება

ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **996.00 (ცხაასოთხმოცდათექვსმეტი)** ლარს. დღგ-ს ჩათვლით. **დაფინანსების წყარო: საკუთრი სახსრები.**

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო სასაქონლო ზედნადების/ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

3,3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 სამუშაო დღეში.

4. ხელშეკრულების კონტროლი და მიღება-ჩაბარების წესი

4.1 ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის შესყიდვების სპეციალისტი გიგა ფახურიძე.

4.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ შემსყიდველი ორგანიზაციის დირექტორის 2019 წლის 24 სექტემბრის N 339 ბრძანებით შექმნილი კომისია (თამარ დვალი, ბერიკა უშვერიძე, რუსუდან ხაბულიანი).

4.3 საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ საქონლის მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო სასაქონლო ზედნადების/ანგარიშ-ფაქტურის გაფორმების შემდეგ.

5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1 საქონლის მიწოდების ადგილია: ქ.ქუთაისი ზ.ანჯაფარიძის N61.

5,2 საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2024 წლის 25 იანვრის ჩათვლით.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი.
6.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
6.4 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი იმ ვადებში, რომელიც მოთითებულია ხელშეკრულების 5,2 პუნქტში.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ვადის გასვლის შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02 %-ის ოდენობით.
7.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
8.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გავალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10 %-ზე მეტი ოდენობით.
8.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შესუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
8,5 მხარე ვალდებულია 8,4 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განსაზღვრის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
8,6 ხელშეკრულება ასევე შიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატიცით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
8.7 ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეული გადაეცემა მხარეებს.

9. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ საქართველოს სასამართლოს მოქმედი კანონის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერსთანავე და მოქმედებს 2024 წლის 29 თებერვლის ჩათვლით.

შემსყიდველი:
სსიპ კოლეჯი „იბერია“
მის:ქ.ქუთაისი ზ.ანჯაფარიძის N61
საიდენტიფიკაციო კოდი: 212 682 051
სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი: TRESGE22
ა/ნ: GE 24 NB 0330 1002 0016 5022
ირაკლი ავალიანი

Irakli Avaliani 60001013361
Digitally signed by Irakli Avaliani
Date: 2024.01.17 10:21:42

მიმწოდებელი:
შპს „ორგსერვისი“
მის: ქ.ქუთაისი ი. ჭავჭავაძის N51/2ა
საიდენტიფიკაციო კოდი: 212693 851
`პროკრედიტ ბანკი~
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ნ: GE32TB0300000030467356
ხვიჩა ნემსაძე

LTD Orgservice
Digitally signed by LTD Orgservice
Date: 2024.01.17 14:20:28 +04'00'

დანართი N1

N	დასახელება	რაოდენობა		ფასი	თანხა	CPV
1	ბლოკნოტი ჩასანიშნი AXENT Panter Soft Skin 8616-02-A 125*195 ლურჯი	42.00	ცალი	13.70	575.40	22816100-ბლოკნოტები
2	კალამი ბურთულიანი PAPIRUS ECONOMIX 10219 Phaeton	42.00	ცალი	0.50	21.00	30192121-ბურთულიანი კალმები
3	მარკერი პერმანენტული PAPIRUS OPTIMA 16115 Black	20.00	ცალი	0.90	18.00	30192125-მარკერები
4	მარკერი დაფის PAPIRUS OPTIMA 16208 Blue	20.00	ცალი	1.00	20.00	
5	დაფა მარკერის მაგნიტური 70*100 სადგარით	2.00	ცალი	110.00	220.00	30195920-მაგნიტური დაფები
6	ჩასანიშნი ფურცელი AXENT/DELTA D8014 90X90X35მმ, 330ფ	16.00	ცალი	2.40	38.40	30196200-სამუშაო შეხვედრების ჩასანიშნი წიგნაკები და სათადარიგო ფურცლები
7	ფლიპჩარტი AXENT 8090-A 64*90სმ 20ც	8.00	ცალი	13.00	104.00	30197621-ფლიფჩარტის ქაღალდები
სულ					**996.80**	

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8-ე მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ შპს „ორგსერვისი“-ს შესყიდვების განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე პირები:

სსიპ კოლეჯი „იბერია“

დირექტორი: Irakli Avaliani 60001013361 Digitally signed by Irakli Avaliani Date: 2024.01.17 10:21:58 /ი.ავალიანი/

შესყიდვების სპეციალისტი: /გ.ფახურიძე/

Giga Pakhuridze 60001034646 Digitally signed by Giga Pakhuridze Date: 2024.01.17 11:10:16